

ხელშეკრულება № 122

შესყიდვის ობიექტის შესახებ

ქ. ნინოწმინდა

18.11.2014 წელი

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტის გამგებლის გაგიკ კარსლიანის სახით, მისამართი ქ. ნინოწმინდა ჰუმბოლტის ქ. 43 შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ი/მ რაზმიკ ღუმაშიან, შემდგომში „შემსრულებელი“, ემოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლებით 327, 328, 405, 629-634, 636-638, 642-656 მინიჭებული უფლებამოსილებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული სოფ. თორის რიტუალური სახლის გაზიფიკაცია

2. ხელშეკრულების ღირებულება

შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) ლარი

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია, სოფ. თორია

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარულ დღეში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება „შემსყიდველი“ და „შემსრულებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

6.2 ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია გადარიცხოს შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე პროექტის საერთო ღირებულების 30%, ხოლო 70% სამუშაოს დასრულების და მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 2 კვირის განმავლობაში

7. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

7.1 დამკვეთი და შემსრულებელი იღებს ურთიერთვალდებულებებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

7.2 დამკვეთის უფლება აქვს:

ა) ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

ბ) ხარისხიანად შეასრულოს სამუშაოები და მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

გ. შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

დამკვეთი ვალდებულია:

ა. საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ფორს-მაჟორული სიტუაციების დადგომისთანავე;

ბ. აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

7.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს დამკვეთისაგან შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ. დააყენოს დამკვეთის პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.4 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას:

ა. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

ბ. წინასწარ აცნობოს მომხმარებელს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

გ. საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 თუ შემსრულებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, დამკვეთი აფრთხილებს წერილობით, რათა მან უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა. ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებელთან წერილობითი შეთანხმების გარეშე სათანადო რეაგირებისათვის მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

8.2 ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების დაგვიანების შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების მთლიანი თანხის 10%-ს ოდენობით

8.3 თუ დამკვეთი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსრულებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველი (ფორს-მაჟორული) გარემოებათა გამო, როგორცაა ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ომები და სხვა.

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აღნიშნულის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი გადასინჯვას არ ექვემდებარება.

10.2 ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ-ერთი მხარის ინტერესები.

11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 დამკვეთი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

12. მხარეების პასუხისმგებლობა

12. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულება წარმოებულია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად და ოთხივეს აქვს თანაბარი თურიდიული ძალა ხელმოწერისთანავე

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება მოქმედებს ხელშეკრულების დადების დღიდან 2014 წლის 20 დეკემბრამდე.

14. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
ქ. ნინოწმინდა კუშკინის ქ. N43
ს/კ 236689669
ანგ. ნომერი GE511.B0120146252122000
ბანკის კოდი LBRTGE22

გ. კარსლიანი



მიმწოდებელი:

ი/მ რაჭმიკ ღუმაშიანი
მისამართი: ნინოწმინდა, სოფ. პ. გონდრიო
საიდენტიფ. კოდი: 32001006038
ბანკი: სს სპრივატ ბანკი, ქ. ნინოწმინდა
კოდი: 220101702
ა/ა: GE7TP0036010070003139

ღუმაშიანი

